თემატურიჯგუფი -”ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში’

თემატური ჯგუფის სხდომის ოქმი №16

19 ივნისი , 2012
თბილისი

განათლებისხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თარიღი	**ადგილი**	**დასაწყისი**	**დასასრული**
19 ივნისი, 2012	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	16:00	17:00

დღის წესრიგი
1. დღის წესრიგის განხილვა
2. წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგების მიმოხილვა

მონაწილეები			
სახელი, გვარი	**დაწესებულება, თანამდებობა**	**ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი**	**სტატუსი**
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41	წევრი
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული	Lali.shaishmelashvili@eqe.ge	წევრი

	ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	577 27 88 49	
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43	მონაწილე
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77	წევრი
ანა მჭედლიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი	a.mchedlishvili@mes.gov.ge 577 15 33 05	წევრი

მაკა კორძაძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	Maka.kordzadze@eqe.ge 577 27 88 21	წევრი
მაია ჩიხლაძე	საზოგადოებრივი კოლეჯი ”პანაცეა”/დირექტორის მოადგილე	chikhladzemaia@yahoo.com 577747444	წევრი
ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	Nino.zhvania@iliauni.edu.ge 577 55 64 88	წევრი
ნინო კოპალეიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი	nkopaleishvili@yahoo.com 577 15 33 01	მონაწილე
კოტე ჩოკორაია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი	kote.chokoraia@eqe.ge 577 27 88 83	წევრი

შედეგები/კომენტარები/წინადადებები

1. **დღის წესრიგის განხილვა**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. **წინა სხდომის ოქმის (ოქმი №15. 29. 05. 2012) დამტკიცება**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი - **ოქმი თან ერთვის**

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგების მიმოხილვა**

კოტე ჩოკორაიამ მიმოიხილა ის ცვლილებები, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით (*17.05.2012-ს N 99/ნ, 4.06.2012 N 104/ნ)* შევიდა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში. კერძოდ, დაემატა მუხლი 30[1] - თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის გზით საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წესი *(17.05.2012 N 99/ნ):*

1. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

2. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, სილაბუსები და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე ელექტრონული ფორმით.

3. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო

პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით *(4.06.2012 N 104/ნ).*

4. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემოწმება ხორციელდება ცენტრის მიერ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ასევე, ცენტრში თვითშეფასების ანგარიშის გზით წარმოდგენილი თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულება იხდის 800 ლარს.

2012 წლის მარტ-ივნისში ავტორიზაცია გაიარა: საზოგადოებრივი კოლეჯი - 6, პროფესიული კოლეჯი - 1, სკოლა, რომელიც პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს - 2, პროფესიული პროგრამები დაიმატა ერთმა საზოგადოებრივმა კოლეჯმა. **(სრული პრეზენტაცია თან ერთვის)**

მოსაზრებები და შენიშვნები:

მოსაზრებები გამოთქვეს მაია ჩიხლაძემ, მარინა ჟვანიამ, ლალი შაიშმელაშვილმა, ნანი დალაქიშვილმა. აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი კოლეჯების რიცხვის ზრდა სავარაუდოდ ხელს შეუწყობს კონკურენციას, რაც თავის მხრივ ხარისხის გაუმჯობესების გარანტიაც იქნება. აღინიშნა ისიც, რომ ავტორიზაციის მსურველთა დონე და მათი მზაობა თანდათან მატულობს.

დასკვნები და ქმედებები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგები ცნობად იქნას მიღებული
- გაგრძელდეს თანამშრომლობა კონსულტირების რეჟიმში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მსურველ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

დანართი


თემატური ჯგუფი
"ხარისხის მართვა პროფესიულ
განათლებაში"
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
განმახორციელებელი დაწესებულებების
ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების აკრედიტაციის შედეგები
22 მარტი - 20 ივნისი 2012
კოტე ჩოკორაია

ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესის განხორციელების საკანონმდებლო ბაზა:

,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი;

,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშებისწესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანება (10.12.2010);

,,არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისრის №8/ნ ბრძანება (3.02.2011);

,,პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისრის №9/ნ ბრძანება(3.02.2011);

,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N120/ნ ბრძანება 10.12.2010);

,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანება;

საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანება;

ავტორიზაცია:

ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

აკრედიტაცია:

აკრედიტაციის მიზანია აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრის გზით, განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა, ასევე სახელმწიფო დაფინანსების მიღება


თვითშეფასება
ავტორიზებული დაწესებულება ვალდებულია, ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 30 ივნისამდე, წარუდგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში.
საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკრედიტებულ პროგრამას/პროგრამებს, ვალდებულია, ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 31 მაისის ჩათვლით წარუდგინოს აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.


სიახლეები საქართველოს კანონმდებლობაში
,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანება;
მუხლი 30¹. თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის გზით საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წესი (17.05.2012 N 99/ნ)
1. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენით დაიმატოს აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.
2. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, სილაბუსები და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე ელექტრონული ფორმით.
3. იმ შემთხვევამი, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს, ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით. (4.06.2012 N 104/ნ)
4. საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემოწმება ხორციელდება ცენტრის მიერ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.


თვითშეფასების ანგარიშით პროფესიული პროგრამის დამატებისას თითოეული დაწესებულება იხდის საფასურს
ცენტრში თვითშეფასების ანგარიშის გზით წარმოდგენილი თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულება იხდის 800 ლარს


2012 წლის 22 მარტი - 20 ივნისი ავტორიზაცია გაიარა:
საზოგადოებრივი კოლეჯი - 6
პროფესიული კოლეჯი - 1
სკოლა, რომელიც პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს - 2
პროფესიული პროგრამები დაიმატა ერთმა საზოგადოებრივმა კოლეჯმა


პროგრამული აკრედიტაცია ამ პერიოდში არცერთ პროგრამას არ გაუვლია
პროგრამების დამატების პროცესი მიმდინარეობს ამ ეტაპზე, რომელიც დაიწყო პირველი მაისიდან და გაგრძელდება 2012 წლის 30 ივნისის ჩათვლით


ძირითადი პრიორიტეტები:
ბუღალტერია;
ტურიზმის მიმართულება;
სამედიცინო მიმართულება


გმადლობთ ყურადღებისათვის!